პროექტის სათაური

„პოლიტიკური კრიზისების მართვის მეტაკოგნიტური თეორია და პოლიტიკური ქცევების ლასველ - ფლაიველის მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემა“.

1. პროექტის სამეცნიერო კომპონენტი

1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე, პრობლემის ფორმულირება.

პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა;

პოლიტიკური სისიტემების მართვის ხარვეზები აისახება სხვადსხვა ტიპის კონფლიქტებში და კრიზისებში რის შედეგადაც ვღებულობთ სხვადასხვა კატეგორიის მსხვერპლს. მეცნიერები გამოყოფენ მართვის იმპულსურ (არაკონტროლირებად) და - კოგნიტურ (გააზრებულ, შემეცნებაზე ორიენტირებულ) სტილს. ორივე სტილს გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.

იმპულსური მართვის სტილის პოზიტიური თვისებებიდან უნდა გამოვყოთ ის, რომ ექსტრემალურ ვითარებაში შესაძლებელია იყოს მიღებული ორიგინალური არაორდინალური გადაწყვეტილება. მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იზრდება რისკები და სისტემა მიდის კატასტროფისკენ. განსაკუთრებით საფრთხეს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც პოლიტიკურ პროცესებს მართავენ ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანები, რომლებისთვისაც არაა მნიშვნელოვანი თუ რა მსხვერპლი შეიძლება მოჰყვეს მათ მოქმედებებს.

კოგნიტური მართვის სტილი ხასიათდება შემეცნებითი „პრელუდიით“, ანუ მოქმედებამდე ხდება გადაწყვეტილების მიღების გააზრება. კოგნიტური[1], ანუ შემეცნებითი მართვის მიმართულების ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლება გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი - ივერი ფრანგიშვილი. სამწუხაროდ მის შრომებს ამ სფეროში ნაკლებად იცნობს ქართული საზოგადოება. ი.ვ.ფრანგიშვილი კოგნიტურ ანალიზს განმარტავს, როგორც „საკვლევ სფეროებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრული მიზეზობრივი სტრუქტურირება...“. ასეთი პროცესები აღწერილია მრავალი ფაქტორით, რომლებიც ურთიერთკავშირშია მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვებით „თუ ... მაშინ ...“.[2]

ბუნებრივია რომ მალე ცვალებად გარემოში, გადაწყვეტილების მიღების შეფერხებამ, „დროის გაწელვამ“, შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგები. შემეცნებით სტილს ასევე ახასიათებს ის, რომ შემეცნების ალგორიტმი შეიძლება იყოს მცდარი, შესაძლებელია ასევე რომ ის იყოს გარედან მართვადი. მეოცე საუკუნის ამერიკის პოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლის და პროპაგანდის თეორიის ავტორის - **ჰაროლდ დუაით ლასუელის** აზრით, საზოგადოების მანიპულირებისაგან თავდაცვისათვის, აუცილებელია პოლიტიკური გადაწყვეტილებების და მართვის ზოგადად „სამეცნიერო კონტროლი“.[3]

---

[1] Р.Г.Болбаков, Основы когнитивного управления, The State Counsellor, 2015, УДК 338.24.01

[2] Прангишвили И. Об эффективности управления сложными социально-экономическими системами // Общество и экономика. 2005. №.9. С. 125-134.

[3] Lasswell H.D. The Theory of Political Propaganda // The American Political Science Review — 1927. — Vol. 21, No. 3. — c. 627—631.

ლოსუელის აზრით ამას უნდა აკეთებდეს **„სამეცნიერო ტექნოკრატია“**. ის კარგად აცნობიერებდა ამ პოლიტიკური პროპაგანდიდან მომდინარე საფრთხეებს და აფრთხილებდა საზოგადოებას“. 1960-ში იგი აქვეყნებს წიგნს - „ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა“.[4] მოგვიანებით მსგავს აზრს ავრცელებს კოგნიტური მართვის თეორიის ერთ-ერთი დამაარსებელი - ჯონ ფლეიველი, რომელსაც შემოაქვს „მეტაკოგნიტური მონიტორინგის“ ცნება.[5]

კსუ-ს გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ბაზაზე, ა.რუსეცკის სადისერტაციო ნაშრომის ჩარჩოში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშწყობით ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პოლიტიკური მართვის სისტემა განიცდის კრიზისს, რომელიც განპირობებულია „მეტაკოგნიტური მონიტორინგის“ სისტემის ფაქტობრივი არარსებობით. ***პოლიტიკური პროცესების მეტაკოგნიტური მართვის სამეცნიერო მონიტორინგის და შეფასებების კულტურა და შესაბამის მექანიზმი პრაქტიკულად არ არსებობს. ეს იწვევს შეცდომების განმეორებას და ქრონიკულ სისტემურ კრიზისს.***

მეტაკოგნიტური მართვის მიდგომა თავად წარმოადგენს პოლიტიკური სისტემების მართვის სფეროში ინოვაციას და არაა სათანადოთ წარმოდგენილი არც სამეცნიერო და არც პოლიტიკურ დისკურსში. განსაკუთრებით კი - კონლფიქტების და კრიზისების მართვის საკითხებთან მიმართებაში. მეტაკოგნიტური მართვის სფეროში არსებული თეორიული მოსაზრებები არაა საკმარისად სისტემატიზირებული, წარმოდგენილი და გამოყენებული კრიზისების მართვის კონტექსტში.

კვლევითი თემის მთავარი არსი მდგომარეობს - მეცნიერებაში არსებული ცოდნის ანალიზის შედეგად ალექსანდრე რუსეცკის მიერ სადისერტაციო კვლევის ჩარჩოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისების მეტაკოგნიტური მართვის თეორიის მეტაკოგნიტური ექსპერტიზა/აპრობაცია და მიღებული შედეგების ანალიზი, სინთეზი, შეფასება და ტექნოლოგიური გამოყენება.

დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური

ალექსანდრე რუსეცკის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიცა მონოგრაფია - „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“.[6] მონოგრაფიაში კონცენტრირებულია დოკუმენტურად დასაბუთებული მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური მეცნიერების და განათლების სისტემა საქართველოში არ პასუხობს არსებულ იმ რისკებს, გამოწვევებს და საფრთხეებს, რომლებიც არის წარმოდგენილი შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებს. პოლიტიკის მეცნიერებებში არსებული უნიკლაური რესურსი არაა სრულყოფილად გამოყენებული პოლიტიკური პრობლემების მართვის პროცესში.

ამავე დროს თვით არსებული „საფრთხეების დოკუმენტი“ და „საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეპციის“ ხარისხი იწვევს სერიოზულ ეჭვებს და მოითხოვს დამატებით შეფასებას. მაგალითად ამ დოკუმენტებში არანაირად არაა წარმოდგენლი ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ფსიქოლოგიური საშიშროებები. მიუხედავად იმისა რომ საქართველო იმყოფება პერმანეტულ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის პირობებში, „პროფესიული კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს“ დოკუმენტიდან 2019 წლის აპრილში ამოღებულია „პოლიტიკური ფსიქოლოგიის“ სპეციალობა. ეს წარმოადგენს ან შეცდომას, ან მიზანმიმართულ დივერსიას, რომლის შედეგადაც განათლების სისტემა უარს იძახის

[4] Lasswell H. D. Psychopathology and politics" (1960)

[5] Flavell, J. Metacognition and cognitive monitoring: A new area of cognitive- development inquiry // American Psychologist. 1979, 24, 906-911).

[6] რუსეცკი ა., დოროხინა ო., „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, 2021. https://www.rav2021.com/_files/ugd/ff9281_5e8e3472495f460abe57fe91301f2c2c.pdf

შესაბამისი კადრების მომზადებაზე. კვლევამ დაადგინა, რომ საქართველოს უშიშროების სისტემაში არარსებობს დღეს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც პასუხს აგებს მეცნიერებაში და განათლებაში მიმდინარე პროცესებზე. ასევე მონოგრაფიაში წარმოდეგნილია სახელმწიფო აუდიტის, როგორც მონიტორინგის და შეფასების უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ერთეულის კრიტიკა.

პროექტში განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული სიახლის აღწერა

წარმოდეგნილი პროექტის რეალიზაცია მოგვცემს შესაძლებლობას, რომ მოხდეს **სამეცნიერო მეტაკოგნიტური ექსპერტიზა** ალექსანდრე რუსეცკის მიერ შექმნილი პოლიტიკური კრიზისების მეტოკოგნიტური მართვის თეორიის და მისი შედეგების აპრობაცია კონკრეტული მიმართულებების მიხედვით. ამიტომ პროექტში ინტეგრირებულია ინტერდისციპლინური გუნდი.

პროექტის ჩარჩოში ჩატარებული კვლევები, იქნება ღირებული არა მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ, მათ ექნებათ პრაქტიკული მნიშვნელობა. პროექტის რეალიზაციის შედეგად შეიქმნება ისეთი ინოვაციური პოლიტიკური მართვის ტექნოლოგია, როგორიცაა -

„პოლიტიკური მოქმედებების ლასველ - ფლაიველის მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემა“.

იმ შემთხვევაში, თუ ეს პროექტი არ დაფინანსდება, არსებული პრობლემების მოგვარება კიდევ უფრო გაჭიანურდება. არ შეიქმნება „მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის“ კულტურა და პროცესები დარჩევა უმართავი.

პროექტის მთავარი მიზანია - პოლიტიკური პროცესების მართვის ხარისხის ზრდა - მსხვერპლის მინიმალიზაცია, კრიზისების პოზიტიური ტრანსფორმაცია და განვითარება.

პროექტის კონკრეტული მიზნები:

- პოლიტიკური კრიზისების მეტაკოგნიტური მართვის თეორიის მეტაკოგნიტური ექსპრტიზა და კრიტიკული ანალიზი.
- ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიის იდეის - „პოლიტიკური მოქმედებების ლასველ - ფლაიველის მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემის“ აპრობაცია.
- კვლევების შედეგად მიღებული შედეგების დამუშავება, სტატიების გამოქვეყნება და შედეგების პრეზენტაცია

1.2. კვლევის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან

აღწერეთ ინოვაციური მიდგომები დაგეგმილ კვლევაში; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები, მათი გადაწყვეტის გზები და სხვ.

კვლევის მეთოდოლოგია - ინოვაციური მიდგომები, *კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან*

	მიზნები	მეთოდოლოგია

	პოლიტიკური კრიზისების მეტაკოგნიტური მართვის თეორიის მეტაკოგნიტური ექსპრტიზა და კრიტიკული ანალიზი.	კვლევის პირველ ფაზაში იქნება წარმოდგენილი ა.რუსეცკის მიერ შექმნილი პოლიტიკური კრიზისების მეტაკოგნიტური მართვის თეორიის - მეტაკოგნიტური ექსპერტიზა და კრიტიკული ინტერდისციპლინური ანალიზი. მეტაკოგნიტური ექსპერტიზა წარმოაგდენს ინოვაციურ მიდგომას და გულისხმობს ავტორის მიერ წარმოდგენილი შეფასებების კრიტიკულ ანალიზის, ანუ - „შეფასებების შეფასებას“.
	ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიის იდეის - „პოლიტიკური მოქმედებების ლასველ - ფლაიველის მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემის“ აპრობაცია.	კვლევის მეორე ფაზაში იქნება წარმოდგენილი „პოლიტიკური მოქმედებების ლასველ - ფლაიველის მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემის“ აპრობაციის მოდელი, რომელიც გულისხმობს „მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის“ პროცესის მოდელირებას, სიმულაციას და ამის შედეგად მიღებული შედეგების დამუშვებას და ხუთი სტატიის გამოქვეყნებას. პროცესი გულისხმობს არსებული თემატური შეფასებების მოძიებას, მათ სისტემატიზაციას და შეფასებას.
	კვლევების შედეგად მიღებული შედეგების დამუშავება, სტატიების გამოქვეყნება და შედეგების პრეზენტაცია	ანალიზი, სინთეზი, შეფასება, შედარებითი ანალიზი, კრიტიკული ანალიზი

პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები, მათი გადაწყვეტის გზები

	მოსალოდნელი სირთულეები	*გადაწყვეტის გზები*
1.	მიდგომა არის ინოვაციური და შესაბამისად თანსდევს ინოვაციური კონფლიქტი.	საზოგადოების მომზადება ინოვაციის დანერგვისათვის - მეტაკოგნიტური მართვის პრინციპების პოპულარიზაციისათვის: • მასმედიის გამოყენება • საჯარო გამოსვლები • შეხვედრები აკადემიურ საზოგადოებასთან
2.	სახელმწიფო მოხელეებთან მოლაპარაკებების წარმოება კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით	პრეზიდენტის აპარატში, პრემიერის აპარატში, პარლამენტი კომიტეტებში და დარგობრივ სამინისტროებში და სხვა სახლემწიფო უწყებებში წინასწარი კომუნიკაციების დამყარება, მათი ინტერესების გათვალისწინებით მათი მოპატიჟება კსუ-ში სპეცილაურ მრგვალ მაგიდებზე და/ან მათ პროგრამებში მონაწილეობა და შედეგების წარდგენა.
3.	მაღალ რეიტინგული ჟურნალები უარს	გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ ვამზადებთ

	იტყვიან კვლევის შედეგად შექმნილი სტატიების დაბეჭდვაზე.	რამოდენიმე სტატიას, ისინი იქნებიან წარდგენილნი პირველ რიგში რეიტინგულ პროფილირებულ ჟურნალებში, იმ შემთხვევაში თუ მოხდა სხვდასხვა მიზეზების გამო ამ სტატიების იქ არ გამოყენება, ისინი დაიბეჭდება იმ ნაკლებად რეიტინგულ ჟურნალებში, რომლებთანაც არსებობს ამის თაობაზე წინასწარი შეთანხმება და მათი ინტერესი, გამომდინარე იქედან, რომ ვართ მათი მუდმივი ავტორები. ასევე სტატიები დაიბეჭდება ეროვნულ დონეზე არარეიტინგულ მაგრამ რეფირირებულ ჟურნალებში.
4.	შემფასებლების განსხვავებული შეხედულებები, სახელდობრ მოწინაამღდეგეები მეცნიერების ჩართვის პოლიტიკური პროცესების მონიტორინგში.	მეცნიერული კონსილიუმის მეშვეობით შევაფასებთ შეფასებას - გამოვიყენებთ მეტაკოგნიტური მონიტორინგის მეთოდს. თუ ჩავთვლით საჭიროდ, მივიღებთ საყურადღებოდ და გაგავრცელებთ ინფორმაციას იმის თაობაზე რომ ხდება კვლევითი პროექტის იდეოლოგიური დისკრიმინაცია.

1.3. პროექტის ეფექტურობა გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესისათვის, კვლევის შედეგების გავრცელების გეგმა და ცოდნის ტრანსფერი

მოსალოდნელი შედეგების ღირებულება, მათი სტრატეგიული მნიშვნელობა

	შედეგები	**ლოკალური**	**ეროვნული**	**საერთაშორისო**
1	**პოლიტიკური კრიზისების მეტაკოგნიტური თეორიის ექსპერტიზა**	სადისერტაციო ნაშრომის ხარისხი, ღირებულება და მნიშვნელობა გაიზრდება	საქართველო შეიძლება გახდეს მსოფლიოში პირველი ქვეყანო რომელიც მხარს დაუჭერს მეტაკოგნიტური მართვის სისტემების დანერგვას ყველა სფეროში.	მეტაკოგნიტური კვლევების სფეროს შეემატება ახალი სისტემატიზირებული თეორია, რომელიც შესაძლებელია იყოს გამოყენებული ნებისმიერ ქვეყანაში.
2	**„მეატაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის მოდელი“**	შეიძლება იყოს გამოყენებული კონკრეტუად აფხაზეთის კრიზისთან მიმართებაში	ეროვნულ დონეზე ჩნდება შესაძლებობა რომ შეიქმნას „მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის“ სისტემები.	საერთაშორისო დონეზე, რომელზეც დღემდე არ არსებობს კონფლიქტების და კრიზისების სამეცნიერო შეფასების სისტემები, შეიქმნება

				შესაძლებლობა ასეთი სისტემების შექმნის - გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს და ა.შ. ორგანიზაციებში.
3	**სტატიების გამოქვეყნება**	კონკრეტული ლოკალური კრიზისების (მაგალითად აფხაზეთის) მართვის ხარისხის ზრდა	არსებული საპარლამენტო კომიტეტების და სახელმწიფო უწყებების სამეცნიერო საბჭოების ხარისხის ზრდა და ახალი უწყებრივი სტრუქტურების შექმნის სტიმულირება.	მეტაკოგნიტური მდგომების და ქართული პოლიტიკური მეცნიერებბების სკოლს პოპულარიზაცია საერთშორისო დონეზე

ინტელექტუალური საკუთრების სახეობები და ცოდნის ტრანსფერი

- პროექტის შედეგად შეიქმნება და დაიბეჭფება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე 6 სტატია
- პროექტის დასრულების შემდეგ შექმნილი სტატიების ერთობლიობა გვაძლევს შესაძლებლობას, რომ გამოიცეს - ელექტრონული სახელმძღვანელო/მონოგრაფია.
- სტრატეგიაში შეიძლება შეიქმნას სილაბუსი - „პოლიტიკური სისტემების მართვის მეტაკოგნიტური მეთოდები“
- სტრატეგიაში შეიძლება კვლევის შედეგების საფუძველზე დაარსდეს კსუ-ში - „კრიზისების მართვის სამაგისტრო პროგრამა“

2. საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ხარისხი

პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება, ქვეყანა, ვებ გვერდი	*საქმიანობის სფერო*	*პროექტის ამოცანების დასახელება, რომელშიც ჩართული იქნება პარტნიორი*	*პარტნიორი ორგანიზაციიდან პროექტში ჩართული პირის სახელი, გვარი, პოზიცია*
ზაპოროჟიეს ნაციონალური უნივერსიტეტი სოციოლოგიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, (უკრაინა) https://www.znu.edu.ua/ukr/university/departments/fsu http://fsu.znu.tilda.ws/	უმაღლესი განათლება და მეცნიერება სასცავლო პროცესი: მედიაციისა და კრიმინოლოგიის სოციოლოგია; პოლიტოლოგია.	• სტატიის მომზადება • ზნუ-ს საერთაშორისო კონფერენციაზე კვლევის შედეგების პრეზენტაცია	**ლეპსკი მაქსიმ,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის სოციოლოგიური ასოციაციის

	(საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: „პოლიტომეცნიერება“, „საერთაშორისო და საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკა“, სამაგისტრო პროგრამები - "პოლიტიკის მეცნიერება", "სოციალური მუშაობა", "საჯარო ადმინისტრირება"	• უკრაინის ორგანიზაციებში კვლევის შედეგების პოპულარიზაცია	„სოციალური პროგნოზირების“ კვლევითი კომიტეტის თავმჯდომარე. ნატალია ლეპსკი - პოლიტიკური მეცნიერებათა დოქტორი იგორ კუდინოვი - სოციალური ფილოსოფიის დოქტორი
Central-European Institute of Research and Strategic Analysis CIRSA (Poland) https://cirsa.pl/?lang=en	დამოუკიდებელი ანალიტიკური ცენტრი, რომელიც შეიქმნა სახელმწიფო ფუნქციონირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე კვლევების პროპაგანდისა და განვითარების მხარდასაჭერად.		**პაველ გოტოვიეცკი** CIRSA-ს ჟურნალის Ante Portas – Setsurity Studies მთავარი რედაქტორის მოადგილე

** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პროექტის საბოლოო შედეგების გამოცხადებისთვის საჭიროა 2-4 თვე. ზემოაღნიშნულ პარტნიორებთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელშეკრულება და მათგან ჩართული პერსონალის თანხმობის წერილი უნდა წარმოადგინოთ შედეგების გამოცხადებიდან არაუმეტეს 3 თვეში.*

3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა

3.1. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან.

დაასაბუთეთ პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა კვლევის მიზნების და ამოცანების ეფექტიანად შესრულებასთან.

1. ჯგუფის წევრების ინფორმირება პროექტის დაწყების თაობაზე და დროის მართვის გრაფიკის დადგენა.
2. კონსულტაციების ჩატარება და კვლევითი პროცესის დაწყება
3. ინტეგრირებული კომუნიკაციები - მოლაპარაკებების წარმოება სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან , მასმედიასთან და ა.შ.
4. შეხვედრების დაღონისძიებების შეთანხმება კსუ-ს საზოგადოების ურთიერთობების სამსახურთან.
5. კომუნიკაციები სამეცნიერო ჟურნალებთან და მათთან გრაფიკის დადგენა
6. სტატიების ქართული და ინგლისური ვერსიების მომზადება - თარგმანი
7. დაკაბადონება და ელექტრონული გამოცემის წარმოდგენა.

8. პრეზენტაციები უნივერსიტეტებში, სოციალურ კქსელებში; კონფერენციებზე; მრგვალ მაგიდებზე
9. უცხოელი კოლეგების ჩამობრძანება საქართველოში და მათთან ერთად პროექტის შედეგების საერთაშორისო პრეზენტაცია.

3.2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან.

აღწერეთ ბიუჯეტის ხარჯვის კატეგორიების მიხედვით არსებული და შესასყიდი მასალების მიზნობრიობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან;

პროექტის ძირითადი პერსონალის ანაზღაურება	*აღწერას იხილეთ: 3.3. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან.*
პროექტის დამხმარე პერსონალის ანაზღაურება	*აღწერას იხილეთ: 3.3. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან.*
ოფისის ხარჯები	*სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების სტატიების, თარგმანი, კორექტირება, ჟურნალებში გადასახადი*
წარმომადგენლობითი ხარჯები	*არაა გათვალისწინებული*
კვების ხარჯები	*კვლევის შედეგების პრეზენტაცია ერთდღიან კონფერენციაზე - 1 დღე*
კვლევის შედეგების გავრცელების და პოპულარიზაციის ხარჯები	*პოპულარიზაციის მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზება მრგვალი მაგიდების, კონფერეცნიების ორგანიზება და სხვა მაღალი რანგის კონფერენციებში მონაწილეობა.*

3.3. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან.

მოკლედ აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტში ჩართული ძირითადი და დამხმარე პესონალის ფუნქციები და კომპეტენციის შესაბამისობა შესასრულებელ ამოცანებთან. ჩამოთვალეთ პროექტში ჩართული პერსონალი, სახელი, გვარი, პოზიცია, როლი პროექტში (ძირითადი, დამხმარე).

სახელი, გვარი	***პოზიცია***	***როლი პროექტში***	***ფუნქციები და კომპეტენციის შესაბამისობა***
ალექსანდრე რუსეც კი	კსუ-ს ასოცირებული პროფესორი	ძირითადი - პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის კოორდინირება და საპროგრამო და ფინანსური პასუხისგებლობა

			ფსიქოლოგიის დოქტორი, პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანთი, კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების პრევენციისა და მართვის სპეციალისტი. თემატური კვლევების გამოცდილება: კონფლიქტები, მშვიდობის მშენებლობა, პოლიტიკური სისტემების მდგრადი განვითარება, საერთაშორისო ურთიერთობები, სამოქალაქო უსაფრთხოება და დემოკრატიული მმართველობა
ვახტანგ მაისაია	კსუ-ს ასოცირებული პროფესორი კსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	ძირითადი	პროექტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი - ექსპერტიზა, მოდელირება, შეფასება, სტატია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძრვანელი - პროგრამაში დანერვის პერსექტივები
მაქსიმ ლეპსკი	ზაპროჟიეს ნაციონალური უნივერისტეტის პროფესორი, აკადემიკოსი	ძირითადი	ექსპერტიზა, მოდელირება, შეფასება, სტატია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის სოციოლოგიური ასოციაციის „სოციალური პროგნოზირების“ კვლევითი კომიტეტის თავმჯდომარე. სერტიფიცირებული VIP ტრენერი მოლაპარაკებებსა და მედიაციაში, სტრატეგიული მენეჯმენტის ტრენერი
პაველ გოტოვიეცკი	ბიზნესისა და მეწარმეობის უნივერსიტეტის (ქ. ოსტროვეც-სვენტოკშისკი) რექტორი	ძირითადი	ექსპერტიზა, მოდელირება, შეფასება, სტატია ჟურნალის Ante Portas – Setsurity Studies მთავარი რედაქტორის მოადგილე თემატური კვლევების გამოცდილება: საერთაშორისო პოლიტიკა მე-20 საუკუნის ისტორია საერთაშორისო უსაფრთხოება თანამედროვე ისტორია მმართველობა დიპლომატია უსაფრთხოების კვლევები

			გეოპოლიტიკა თანამედროვე ისტორია გლობალური მმართველობა და რეგიონალიზმი მსოფლიო ისტორია საერთაშორისო ურთიერთობები ბიოგრაფია პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები
ნატალია ლეპსკი	ზაპროჟიეს ნაციონალური უნივერისტეტის პროფესორი,	ძირითადი	ექსპერტიზა, მოდელირება, შეფასება, მოხსენება საერთასორისო კონფერეცნიაზე, სტატია
ალიკა გუჩუა	კსუ-ს ასოცირებული პროფესორი	ძირითადი	ექსპერტიზა, მოდელირება, შეფასება., რედაქტირება, საბაკალავრო პროგრამებში დანერგვის პერსპექტივა. პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
ოლღა დოროხინა	კსუ-ს გეოპოლიტიკური მოდელირობის ლაბორატორიის მკვლევარი პოსტ-დოქტორანტი	ძირითადი	სამეცნიერო ჟურნალებთან კომუნიკაციაზე პასუხისგებლობა ადმინისტრაციული ჯგუფის კოორდინირება. გამოცდილება თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებში ისეთ თემებზე, როგორიცაა საზღვრის უსაფრთხოება და მართვა, სასაზღვრო პოლიტიკა, საზღვრის ესთეტიკა, რეგიონული თანამშრომლება, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, მიგრაცია, საუნივერსიტეტო დიპლომატინა, მუნიციპალური თანამშრომლობა.
იგორი კუდინოვი	ზაპროჟიეს ნაციონალური უნივერისტეტის დოქტორანტი	ძირითადი	ექსპერტიზა, მოდელირება, შეფასება, სტატია
გვანცა ჩხაიძე	კსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელი კსუ-ს სადოქტორო პროგრამის სტუდენტი (შეჩერებილი სტატუსი)	ძირითადი	კსუ-ში საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება, სტუმრების მოწვევა კსუ-ს PR სამსახურთან და ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია
სვეტლანა კირაკოსიანი	კსუ-ს სადოქტორო პროგრამის 1-ლი კურსის სტუდენტი (აქტიური სტატუსი)	დამხმარე	სტატეიების თარგმნა, კორეკტურა